თბილისის “დინამოს” გამარჯვება

8 აგვისტოს ლენინგრადში ჩატარდა სსრ კავშირის 1948 წლის პირველობის გათამაშების მე–17 კალენდარული მატჩი ფეხბურთში. თამაშობდნენ თბილისისა და ლენინგრადის “დინამოს” გუნდები.

პირველი ტაიმის დასაწყისში ინიციატივა ლენინგრადელთა ხელში იყო. 23–ე წუთზე მათ მოახერხეს ანგარიშის გახსნა. 25–ე წუთზე თბილისელმა ზაზროშვილმა საპასუხო ბურთი გაიტანა ლენინგრადელთა კარში. ტაიმის დასასრულს თბილისელებმა კიდევ ერთი ბურთი გაიტანეს მოწინააღმდეგის კარში. პირველი ტაიმი დამთავრდა ანგარიშით 2:1 თბილისის “დინამოს” სასარგებლოდ.

თამაშის მეორე ნახევარში უპირატესობა თბილისელთა მხარეზე იყო. თბილისელ თავდამსხმელთა თამაშს ახასიათებდა კომბინაციურობა და კოლექტიურობა. ლენინგრადელებმა მოადუნეს თამაშის ტემპი, რითაც კარგად ისარგებლეს თბილისელებმა და კიდევ სამი ბურთი გაიტანეს მოწინააღმდეგის კარში. მატჩი დამთავრდა თბილისის “დინამოს” გამარჯვებით, ანგარიშით 5:1.

“კომუნისტი”, 10 აგვისტო, 1948 წ.